



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი შუალედური ანგარიში

15 ივნისი - 31 აგვისტო 2020



INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
ძირითადი შედეგები:	4
გაზეთი „რეზონანსი“	5
გაზეთი „ახალი თაობა“	6
გაზეთი „ასავალ-დასავალი“	7
გაზეთი „კვირის პალიტრა“	9
გაზეთი „ქრონიკა +“	11
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“	13
გაზეთი „ალია“	15
გაზეთი „გურია News“	17
გენდერულად სენსიტიური გაშუქება	19
დასკვნა	20

პროექტის შესახებ

„ინტერნუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, ბექდურ მედიას აკვირდება. მონიტორინგი 2020 წლის 15 ივნისს დაიწყო.

დაკვირვება ხორციელდება 8 გამოცემაზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“, „საქართველო და მსოფლიო“, „გურია news“.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ბექდური მედიის მონიტორინგის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ სუბიექტების საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი). თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ფოტოთი მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე, პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი.

მონიტორინგის მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა შეიძლება, შეიცვალოს პარტია, ხოლო პოლიტიკური პარტიები შეიძლება გაერთიანდნენ ან გამოეყონ რაიმე კოალიციას/ბლოკს, ან დარეგისტრირდნენ სხვა სახელით.

მონიტორინგი უტარდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც საუბარია მონიტორინგის სუბიექტებზე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 15 ივნისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის ბექდური მედიის მონიტორინგის შედეგებს.

ძირითადი შედეგები

15 ივნისი - 31 აგვისტოს პერიოდში გაზეთების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:

- ყველაზე მეტად გაშუქდნენ: მთავრობა, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი;
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას უარყოფითი ტონი ბევრად სჭარბობდა ნეიტრალურს, დადებითი ტონი თითქმის არ დაფიქსირებულა. გამონაკლისს წარმოადგენდნენ გაზეთები: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“ და „გურია ნიუსი“, სადაც სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურად გაშუქდნენ;
- შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებით გამოირჩეოდნენ გაზეთები: „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“;
- გაზეთ „ალიაში“, წინა წლებთან შედარებით, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები შემცირებული იყო;
- წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოების რაოდენობა (გამონაკლისს წარმოადგენს „ასავალ-დასავალი“);
- გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გამოირჩეოდა მკვეთრად პრორუსული და ანტისდასავლური განწყობით;
- პრობლემად რჩება გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება: ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ მტკიცებულებების გარეშე ამა თუ იმ პოლიტიკოსის მისამართით მძიმე ბრალდების წაყენებას;
- გადამოწმების გარეშე შუქდებოდა რესპონდენტთა ბრალდების შემცველი განცხადებებიც. ხშირ შემთხვევებში, კრიტიკის ობიექტს საპასუხო კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა არ ჰქონდა;
- გაზეთების უმრავლესობა მკითხველს ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ მასალებს სთავაზობდა, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე, განხსვავებული მოსაზრებების გაცნობის საშუალებას არ იძლეოდა;
- გამოცემების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ინფორმაციის საექვო წყაროებზე („კულუარული ინფორმაციით“, „გავრცელებული ინფორმაციით“, „წყაროს ცნობით“, „ამბობენ, რომ..“) დაყრდნობით მომზადებული სტატიები რჩება;
- ბექდურ მედიაში გენდერული სტერეოტიპების გამყარებას ხელს უწყობდნენ როგორც რესპონდენტები, ასევე ჟურნალისტები.

გაზეთი „რეზონანსი“

ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემა თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა - პოლიტიკურთან ერთად შუქდებოდა მკითხველისთვის მნიშვნელოვანი სახვადასხვა საკითხი, ეკონომიკური და სოციალური თემები. სტატიებში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება, ძირითადად, არ შეინიშნებოდა.

გაზეთმა „რეზონანსმა“ ყველაზე მეტად მთავრობა (26%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (25%) გააშუქა. 9% დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო 6% - „ევროპულ საქართველოს“. საანგარიშო პერიოდში წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შესული არ იყო, პარტიები ნაკლებად აქტიურობდნენ, ამიტომ არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური გაერთიანებების გაშუქების მაჩვენებელი 3%-ს არ აღემატება.

გამოცემა დაბალანსებულია, რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ იგრძნობოდა. შუქდებოდა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მოსაზრებები. თუმცა, ჟურნალისტები კრიტიკულ, მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ და სუბიექტების მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონი, ძირითადად, ოპონენტების განცხადებების შედეგია. მონიტორინგის სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. ყველაზე მაღალი (11%) დადებითი ტონი მთავრობის მიმართ გამოვლინდა, რაც, დიდწილად, შინაგან საქმეთა სამინისტროს და მინისტრის აქტივობების (გახსნილი საქმეები, ოფიციალური შეხვედრები, ქველმოქმედება) გაშუქებამ გამოიწვია.


გამოვლინდა მონიტორინგის კონკრეტული სუბიექტების მკვეთრად დადებითად და უარყოფითად გაშუქების შემთხვევა. მაგალითად, 16 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართული ოცნება“ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში მაჟორიტარად ჯაფარიძეს წარადგენს“, ადგილობრივ მოსახლეობაზე დაყრდნობით გუბერნატორის, რომელიც შესაძლოა მაჟორიტარად წარადგინონ, საქმიანობა მკვეთრად დადებითად იყო წარმოჩენილი, ხოლო მეორე სავარაუდო კანდიდატის - მკვეთრად უარყოფითად.

საანგარიშო პერიოდში გამოცემაში შეგვხვდა გენდერულად სენსიტიური გაშუქების შემთხვევები. მაგალითად, ინტერვიუ პოლიტიკური გაერთიანება „მოქალაქეების“ ლიდერ ალექსანდრე ელისაშვილთან: „გული მერევა, ორღობის დედაკაცებივით ჭორაობენ, სამგლე გოჭებივით ნუ არიან ატეხილი ბოკერია და მისი მექრთამე მმაკაცები“ (25.06, გვ. 1-2).

გენდერული კუთხით ყურადღებას ასევე იქცევს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას განცხადება, სადაც იგი პარლამენტში გენდერული კვოტირების შესახებ საუბრობს: „კვოტები არაა მისაღები, არა იმიტომ, რომ პრობლემა არ არსებობს - უმძიმესი პრობლემები გვაქვს ქალთა უფლებების მიმართულებით... იმის მაგივრად, რომ ებრძოლო მათ, ვინც ქალებს უყურებს, როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს და ასეთები სხედან დარბაზში და ხმას აძლევენ ფარისევლურად, როდესაც თვითონ იმეორებენ, რომ ქალის ადგილი სამზარეულოშია. ახლა უნდათ, რომ თოჯინებად ჰყავდეთ.“ (2.07, გვ.4)

გაზეთი წყაროების და თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ინფორმაციები სპეციალისტების შეფასებებით და სტატისტიკური მონაცემებით იყო გამყარებული.

თუმცა, ექსკლუზიური, სიღრმისეული და მეტად ანალიტიკური, ფაქტებზე დამყარებული სტატიები გამოცემას მკითხველისთვის უფრო საინტერესოს გახდიდა.



გაზეთი „ახალი თაობა“

ყოველდღიური გაზეთი „ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. პოლიტიკურის გარდა შუქდებოდა სოციალურ-ეკონომიკური საკითხებიც. გამოცემა მმართველი პარტიის გაშუქების მაღალი უარყოფითი ტონით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქებისას არ გვხვდებოდა ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში გამოცემამ ყველაზე მეტი ფართობი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ (27%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (12%), მთავრობის (10%) და „ევროპული საქართველოს“ (8%) გაშუქებას დაუთმო. მონიტორინგის დანარჩენი სუბიექტების გაშუქება 4%-ს არ აღემატებოდა. სუბიექტები, საშუალოდ, 70% ნეიტრალურად შუქდებოდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა „ქართული ოცნება“, რომლის გაშუქების 50% უარყოფით ტონზე მოდიოდა.


მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები მკვეთრად მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ, გაზეთში ბალანსი ოპოზიციური პარტიებისკენ იხრებოდა. „ქართული ოცნების“ და მთავრობის, სხვებთან შედარებით, მაღალი უარყოფითი ტონი, ძირითადად, კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტების (პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები)

განცხადებებმა განაპირობა. მაშინ, როცა კრიტიკის ობიექტებს საპასუხო კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა ნაკლებად ეძლეოდათ.

მთავრობის გაშუქების 13%-იანი დადებითი ტონი შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტივობების გაშუქებამ განაპირობა: თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა ინფორმაცია გახსნილი საქმის თუ სამინისტროში ჩატარებული ტრენინგ/შეხვედრების შესახებ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების შესახებ კანონის მიღება გენდერული ნიშნით სენსიტიური კიდევ ერთი განცხადების მიზეზი გახდა: „ბიძინა ივანიშვილს აქვს დევიზი ამ თვალსაზრისით და ეს აჩვენა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მაჟორიტარის დასახელებამ. ადრე გამოთქმა იყო „ქალი კუხნაში“, ივანიშვილისთვის ეს გამოთქმა არის „ქალი სიაში“ (ინტერვიუ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ სერგო რატიანთან, 21.07, გვ. 3).

„ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა, გიგლა ბარამიძემ კორონავირუსის საწინააღმდეგოდ ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების კომენტარებისას განაცხადა, რომ „ყველაფერს თუ ჩაკეტავ და ჩაკლავ, ეს გამარჯვება არ არის. ბოლო დროს პრემიერი გახარია უფრო მეტად იწონებს თავს და გასათხოვარი ქალივით დაიპრანჭება. საინტერესოა, რით ტრაბახობს?“ (20.07, გვ.3)



გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქების ტონი, უმეტეს შემთხვევებში, უარყოფითი იყო. გამოცემაში მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური

სტანდარტების და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში გამოცემამ ყველაზე მეტი ფართობი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (24%), „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ (19%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (14%) და „ევროპულ საქართველოს“ (10%) დაუთმო.

სუბიექტების გაშუქების ტონი, უმეტეს შემთხვევებში, უარყოფითი იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, რომელიც, უმეტესწილად, დადებით და ნეიტრალურ კონტექსტში გაშუქდა. მის მიმართ დადებით განწყობას, ძირითადად, რესპონდენტები გამოხატავდნენ. მაგალითად: „გახარიასნაერი ადამიანები სჭირდება გვერდით /ზიძინა ივანიშვილს/, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს! ასე რომ, ბევრი გიორგი გახარია ხელისუფლებაში!“ (13-19.07, გვ.5); „გახარია არის ამ გუნდის ტვინი! ამ უნიჭიერესმა და უწესიერესმა კაცმა ნაცებს უთხრა - მე თქვენ დაგასრულებთ! ჰოდა, მიეცით საშუალება დანაპირები შეასრულოს“ (27.07 – 2.08, გვ. 13); „გიორგი გახარია იმდენად ძლიერი და ქმედითი პრემიერია, კვლავ ქვეყნის პირველი პირი უნდა იყოს“ (17-23.08, გვ. 12);

მონიტორინგის სუბიექტების მიმართ უარყოფითი, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება ვლინდებოდა როგორც რესპონდენტთა განცხადებებში, ასევე ჟურნალიტთა ტექსტებშიც. მაგალითად: „თუმცა, სად ვაშაძე და სად სირცხვილის გრძნობა? გნებავთ დიდი ვაშაძე იყო და გნებავთ პატარა ვაშაძე, სირცხვილი და მორიდება იმათთვის უცხოა, როგორც ვირისთვის ხურმა და ღორისთვის ოპერა!“ (10-16.08, გვ. 4); „ისიც საინტერესოა ხალხი სად გამოიკვლიეს - ნაც-ში, გირჩის ბორდელში თუ ხაზარაძე-უსუფაშვილის გაერთიანებულ უბორნიაში? (20-26.07, გვ. 10).


ხშირი იყო სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები: „ესენი ხომ იმ სექტიდან არიან საოკუპაციო ხაზზე შარვალჩახდილები და უკანალმომიშვლებული რომ ებრძვიან ოკუპანტს. ესენი ხომ იმ ლგბტ ხროვის ხორცთაგანნი გახლავან საქართველოში გეი-პარადების ჩატარებასა და კაბიან-კოლგოტიანი კაცების რუსთაველზე ჯლიგინზე რომ ოცნებობენ.“ (27.07-2.08, გვ. 21); „ლევან ბერძენიშვილო! არც მამათმავლები ცხონდებიან და არც პედერასტების დამქაშები, მაგალითად შენი ძმა - ნაძირალა დავით ბერძენიშვილი, რომელიც პარლამენტის წინ დორბლმორეული ჯღაოდა - ჩვენ სექსუალური უმცირესობების საქართველო გვინდაო!“ (3-9.08, გვ. 13.).

გამოცემაში აგრეთვე გვხვდებოდა გენდერულად სენსიტიური თემების გაშუქების ისეთი შემთხვევები, როცა „ქალურობა“ ან „ქალური ქცევა“ შეურაცხყოფისათვის გამოიყენება. მაგალითად: „მძიმე დღეები უდგას „ტრადიციუნალისტად“ და „გუბოზად“ მონათლულ გუბაზ სანიკიძეს! ქალი რომ ყოფილიყო, ალბათ, ამ ყველაფერს ე.წ. „კრიტიკულ დღეებს“ მივაწერდით, მაგრამ გარეგნულად მაინც მამრს ჰგავს და, ალბათ, ისევ „პოლიტმეძაობის კრიტიკული დღეების ბრალია!“ (13-19.07, გვ.15).

სტატიებში არ იყო დაცული ბალანსი. მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა. მკითხველს შესაძლებლობა არ ჰქონდა გაცნობოდა განსხვავებულ მოსაზრებებს. ეჭვს იწვევდა წყაროების სანდოობაც, რადგან ხშირად ეს იყო: „სანდო წყარო“, „გადამოწმებული ინფორმაცია“, „ჩვენი ინფორმაციით“.

ფოტოების უმრავლესობა გამოსხული პირის მიმართ ნეგატიური განწყობის მატარებელი იყო ან ნეგატიური წარწერა ჰქონდა.

„ასავალ-დასავალში“ მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. გამოცემა არ ერიდებოდა დაუსაბუთებელ მსჯელობას და შურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას.



გაზეთი „კვირის პალიტრა“

ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა, რა დროსაც რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა. გამოცემა თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა - პოლიტიკურთან ერთად შუქდებოდა ეკონომიკური, სოციალური, ინფრასტრუქტურული საკითხები. ჟურნალისტები მწვავე კითხვების დასმას არ ერიდებოდნენ, ცდილობდნენ მოვლენები სხვადასხვა რაკურსით, სიღრმისეულად გაეშუქებინათ.

საანგარიშო პერიოდში გამოცემამ ყველაზე მეტად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (30%) გააშუქა. მას 10-10%-ით მოჰყვებიან მთავრობა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (10%). თანაბრად გაშუქდნენ „ლელო საქართველოსთვის“, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მათზე მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი საერთო ფართის 7-7% მოდიოდა.

სუბიექტების გაშუქებისას ნეიტრალური და უარყოფითი ტონი ბევრად სჭარბობდა დადებითს, რასაც უმეტესწილად რესპონდენტთა განცხადებები განაპირობებდა. თუმცა,

არც ჟურნალისტები ერიდებოდნენ მწვავე კითხვების დასმას, ცდილობდნენ საკითხები სიღრმისეულად გაეშუქებინათ და სხვადასხვა აქტუალურ, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება დაეფიქსირებინათ. მაგალითად: „ეს ხელისუფლება ისე ამთავრებს მმართველობის რვაწლიან პერიოდს, რიხიანი განცხადებების მიუხედავად, ონლაინაზარტული თამაშების რეგულირებისთვის, ფაქტობრივად, ნაბიჯიც არ გადაუდგამს... ამიტომ, ხელისუფლება მოსახლეობასთან დიდ ვალშია, თუ არა შარში, რისთვისაც პასუხისგება, ალბათ არჩევნებზე მოუწევს“ (6-12.07, გვ. 26).


კრიტიკულად გაშუქდა თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის საკითხიც. ამ პრობლემაზე გაზეთის 2 ნომერში დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც სხვადასხვა პოზიციებს გამოხატავდა. 3 აგვისტოს ნომერში, სტატიაში „გინება ღრმად, გამონაბოლქვი ბლომად და მჟავე სახეები მრავლად!“ მოყვანილია მოქალაქეების მწვავე კომენტარები, რომლებსაც მოსდევს ინტერვიუ „საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელთან, დავით მესხიშვილთან, რომელიც ასევე კრიტიკულად აფასებს ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტს. 17 აგვისტოს ნომერში კი გამოქვეყნდა ინტერვიუ თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძესთან, რომელიც პროექტის დადებით მხარეზე საუბრობს.

„კვირის პალიტრა“ თემების, ინფორმაციის წყაროთა და რესპონდენტთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა როგორც პოლიტიკოსთა, ასევე სპეციალისტების და საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებებს.

ჟურნალისტების კითხვა/კომენტარები ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკული იყო. მაგალითად: „მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანია აქტიურად დაიწყო. მიმდინარეობს შეხვედრები რეგიონებში, თუმცა ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო პიარის ხერხები გვარიანად დაუძველდა. ისევ ნეგატივზე აქცენტი, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის გახსენება, გაუთავებლად სააკაშვილის ხელისუფლების ნაკლზე ლაპარაკი“ (17-23.08, გვ. 2); „...ვნახეთ თბილისის მერის „ფეისბუქგამოსვლა“ კონკრეტული ტველვიზიების წინააღმდეგ. ეს ცოტა მიუღებელია იმ ხელისუფლებისგან, რომელიც დაკავშირებულია ტროლ-ბოტების ე.წ. ქარხანასთან. ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ხელისუფლების ქცევამ სიტყვის თავისუფლებას შეუქმნას საფრთხე?“ (29.06-5.07, გვ.2).

გამოცემის მიერ მოვლენების გაშუქებისას გენდერული თანასწორობის დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა გენდერულად სენსიტიურ თემას თავად რესპონდენტი შეეხო. ეს იყო ფარული ფორმა, რომელიც ამყარებს სტერეოტიპს, რომ ქალს დაცვა სჭირდება - ინტერვიუ „მოძრაობა ხალხისთვის“ ლიდერ ანა დოლიძესთან: „მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი პრეზიდენტის დანიშნული, თანაც ქალი, სალომე ზურაბიშვილს არც ერთხელ ხმა არ ამოუღია, არც ინსტიტუციურად დაუჭერია მხარი, არც - ადამიანურად.“ (22-28.06, გვ. 30).

მთლიანობაში გამოცემა დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის და სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები არ დაფიქსირებულა.



გაზეთი „ქრონიკა +“

ყოველკვირეული გაზეთი „ქრონიკა+“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. იგი მმართველი პარტიის და გუნდის გაშუქების მაღალი უარყოფითი ტონით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქებისას გვხვდებოდა ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გამოცემა არ ერიდებოდა მიკერძოებული და შურაცხმყოფელი შეკითხვების დასმას.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (30%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (10%) გაშუქდნენ. მათ 6-6%-ით მოსდევდნენ „ლეიბორისტული პარტია“, მთავრობა და „სტრატეგია აღმაშენებელი“.

გამოცემა მმართველი პარტიისა და გუნდის კრიტიკას არ ერიდებოდა, მაგრამ, ხშირ შემთხვევებში, ჟურნალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მწვავე კითხვები მიკერძოებული და სუბიექტური უფრო იყო, ვიდრე ფაქტებით გამყარებული, ხოლო ზოგჯერ - შეურაცხმყოფელი და არაეთიკურიც.

მაგალითად: „ბოდიში და ცალკე ხელისუფლებამ და ცალკე ოპოზიციამ რიგ ოლქებში ისეთი კანდიდატები წააყენა, იმათ არჩევას ხახვის არჩევა არ სჯობს? (ინტერვიუ ფიქრია ჩიხრაძესთან, 4.08.2020, გვ. 20); „ივანიშვილი საზოგადოებას ეუბნება, - დიახ, თქვენ ვოლსკისა და ალკოჰოლურ ნირვანაში გადარგულ სუბარს იმსახურებთ და არავის სხვას“ („კოჯრის კლასტერი“, 28.07.2020, გვ. 32); „როდის მიხვდით, რომ „ოცნების“ პოლიტიკური ნება ქვეყნის გადარჩენა კი არა, სახელმწიფო ბიუჯეტის გაღლეტვა იყო?“ (ინტერვიუ ჯონი გიგანთან, 11.08.2020 გვ. 34); სტატია სათაურით: „სუბიო ირაკლას“, „კვერცხი რომანას“, „კომში გელას“, გურჯანელი „ჰარიპოტერას“, „პლაკატა გურამასა“ და „შიოლფაშას“ ამბები

კახეთიდან“ (04.08.2020 გვ. 34.)

სახელისუფლებო გუნდის მიმართ მწვავე განცხადებებით რესპონდენტებიც გამოირჩეოდნენ.

შედეგად, გაშუქების ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონი „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას დაუგროვდათ. უარყოფით ტონში გაშუქების 50%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა პრემიერ-მინისტრსაც.

გამოცემამ ასევე უარყოფითად (95%) გააშუქა პრეზიდენტის აქტოვობები. სტატია „წითელკაბიანი მაყვალა და ერთი ერთზე ჩხუბის მეტრფე სალომე“ (21.07.2020. გვ.21) პრეზიდენტის გენდერულად სენსიტიური გაშუქების კუთხითაც იქცევს ყურადღებას. სტატიაში გამოთქმული შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით შელახულია ქალი პოლიტიკოსის იმიჯი: „სასაცილოა როდესაც ქართულის ცოდნას გიწუნებს ქალბატონი, რომელიც ისეთივე წარმატებით აბრუნებს სახელებს და აუღლებს ზმნებს, როგორც აცხობს სააღდგომო პასკებს - მოტიტყნილსა და მიხრუკ-მოხრუკულს“, „ სალომე ზურაბიშვილი კი ისევ გააგრძელებს გამოგნებელი და ქვეყნის დამაზიანებელი განცხადებების კეთებას, ფეხშიშველ ტანტალს, ატმის კრეფვას, თუ ელარჯის ზეღვას, ლობიოს ჭამასა და ჯონჯოლის მუჭით ყრას, მას ეს ჰგონია პრეზიდენტობა“.

გაზეთ „ქრონიკა“-ში გენდერულად სენსიტიური გაშუქების სხვა შემთხვევებიც დაფიქსირდა -ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილთან, სადაც რესპონდენტი პოლიტიკოსი ქალის გარეგნობის ხაზგასმით ცდილობს დააკნინოს მისი საქმიანობა: “მდინარაძეს და თალაკვაძეს, კიდევ კობახიძეს და იმ ქალს, ხუჭუჭი თმები რომ აქვს - თუა წულუკიანს...” (16.06.2020, გვ.10).

14 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის წევრ გიორგი გუგავასთან, სადაც ის პარლამენტის მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების კანონის მიღებას აფასებს. როგორც ჟურნალისტის შეკითხვაში, ასევე პოლიტიკოსის პასუხში მეორდება შეურაცხმყოფელი შეფასებები:

ჟურნალისტი: „როცა ე.წ. ქალთა კვოტირების შესახებ შევიტყვეთ, თქვენმა პარტიულმა ლიდერმა რიტორიკულად იკითხა, - ვერ გავიგე, დეპუტატებს ვირჩევთ თუ სასქესო ორგანოებსო? ... ასეთი მძაფრი რეაქცია იმიტომ გქონდათ, რომ ქალები, რომელთაც საარჩევნო სიაში ჩაწერთ, არ გყავთ?“


გიორგი გუგავა: პარლამენტი სახელმწიფო მმართველობის მთავარი ორგანოა და მისი ფორმირება იმის მიხედვით უნდა განხორციელდეს, ვინ რომელი სქესის წარმომადგენელია? ანუ ყველაფერი ეს სასქესო ორგანოებზე უნდა დავიყვანოთ და ამით პრობლემა რამენაირად მოგვარდება?“, „სავალდებულო კვოტირების დაწესება ჩვენი ერის, ისტორიის, კულტურისა და მხოლოდ ქალების კი არა, მამაკაცების შეურაცხყოფაცაა!“

„ქრონიკა“-ში ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები, დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება. გაზეთის მკითხველს შესაძლებლობა არა აქვს განსხვავებულ მოსაზრებებს და სხვადასხვა კუთხით გაშუქებულ საკითხებს გაეცნოს.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ქრონიკა+"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“

ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ახალი ამბების გაშუქებას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების და ნებისმიერი საკითხის გაშუქება, ძირითადად, საერთაშორისო ჭრილში ხდებოდა. გამოცემა გამოირჩევა მკვეთრად პრორუსული და ანტისდასავლური განწყობით.

გამოცემამ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (33%), ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (15%), მთავრობა (14%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (10%) გააშუქა. გაზეთი თითქმის ყველა პოლიტიკურ ძალას მკვეთრად უარყოფითად წარმოაჩენდა. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა.

მთავრობა, „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ როგორც ჟურნალისტების, ასევე რესპონდენტების მხრიდან მწვავე კრიტიკის ობიექტი იყო, რამაც მათი გაშუქების მაღალი უარყოფითი ტონი განსაზღვარა.

„საქართველო და მსოფლიო“ მკაფიოდ პრორუსული გაზეთია. ანალიტიკური სტატიები თუ ინტერვიუები აშკარად ანტიევროპული და ანტიამერიკული აზრის გამტარებელია, დასავლეთის საპირფონო კი ყოველთვის რუსეთია.


გაზეთში გამოქვეყნებული მასალები ტენდენციური და დაუბალანსებელი იყო. ყველა გაშუქებული თემა საქართველო-ნატოს ან საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ჭრილში იყო განხილული და შეფასებული. ნებისმიერ თემაზე (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა,

განათლება) მომზადებულ თითქმის ყველა პუბლიკაციაში საუბარია იმაზე, რომ მთავრობა და მმართველი პარტია რუსეთის მიმართ უფრო ლოიალური უნდა იყოს: „ოცნებამ“ თავიდანვე შეცდომით დაიწყო კრემლთან ურთიერთობა; დიპლომატიის ისტორიამ არ იცის ასეთი ფენომენი, როდესაც პატარა სახელმწიფო ყველა დონის ურთიერთობას წყვეტს თავის უდიდეს მეზობელთან“ (ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან, 22-28.07. გვ.7); „საქართველო, სამწუხაროდ, სხვა თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა - დასავლურ-ამერიკულის. მივიწვევთ ნატოსკენ, ასოცირების ხელშეკრულებაზე მოვაწერეთ ხელი და ამ ყველაფერს საერთო არაფერი აქვს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასთან; ძალიან დიდი შეცდომა იყო კონსტიტუციაში იმის ჩაწერა, რომ საქართველო განუხრელად უნდა მიჰყვებოდეს ევროპულ გზას“. (ინტერვიუ პოლიტოლოგ თამარ კიკნაძესთან, 22-28.07, გვ. 6)

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი მთავარი თემა ამერიკელი კონგრესმენების გამოგზავნილი წერილი იყო, სადაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად და რუსეთის პრეზიდენტის მოკავშირედ იყო მოხსენებული. 17-22 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელ გულბაათ რცხილაძესთან, სადაც იგი „ქართული ოცნების“ ლიდერს რუსეთთან არასაკმარისად კარგი ურთიერთობების გამო აკრიტიკებს: „ივანიშვილს რუსეთთან მოგვარებული რომ ჰქონდეს ურთიერთობა, ვერც ერთი ამერიკელი ვერ გაბედავდა მასზე მუქარით საუბარს, რადგან ზურგს უკან ძალას იგრძნობდნენ; ამერიკა ხვალ რომ დაიშალოს, საქართველოში მაინც ერთიანი და უძლეველი ეგონებათ; ეგონებათ, რომ ამერიკა არსებობს, ისევ დაელოდებიან იქიდან წერილს და ისევ ჩაისვრიან, ის წერილი რომ ჩამოვა“.

პოლიტიკური პარტიების კონკრეტულ აქტივობებს და საარჩევნო დაპირებებს გამოცემა ნაკლებად აშუქებდა. თუმცა, საარჩევნო თემატიკაზე ქვეყნდებოდა სტატიები, სადაც განხილული იყო საარჩევნო გარემო, ცვლილება საარჩევნო სისტემაში, პარტიების გამარჯვების შანსები, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები არჩევნების შემდეგ და ა.შ. მათში პოლიტიკოსების მიმართ გამოთქმული მოსაზრებები ხშირად უარყოფითი და, ზოგ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი იყო: „ვინმეს შეუძლია ერთი სახელი და გვარი მაინც დაასახელოს ნათელაშვილის ფანჩატურიდან, რომელსაც ხმას მისცემდით კი არა, მის ხსენებაზე გული არ აგერიოთ?; ქოც-ნაცების მიერ ამერიკელ და ევროპელ მაღალჩინოსანთა წინაშე სამარცხვინო პოლიტიკური დეფილეს შემდეგ ლიბერალური დასავლეთის სიმპათია მაინც ევრო და მიშ-ნაცებისკენ იხრება“. (22-28.07, გვ. 10)

ასევე დაფიქსირდა გენდერული ნიშნით სენსიტიური გაშუქების შემთხვევები: „ქართული ოცნების“ მიერ ჩადენილი დანაშაულის ტოლფასი შეცდომების მიუხედავად თუ იმის, რომ იდიოტი პრეზიდენტი (უკაცრავად, მაინც ქალია) გვყავს... „ქართულ ოცნებას“ გარანტირებული აქვს არჩევნებში გამარჯვება?“, „ნიკა მაჭუტაძეს/ იმედი აქვს, რომ მულტიმილიონერ ზაზა ოქუაშვილის მეუღლე ნატო ჩხეიძე (რომელიც „პატრიოტთა ალიანსიდან“ ქართული პოლიტიკის „ამომავალი ვარსკვლავის“, მაჭუტაძის, პარტიაში გადაბარგდა) დეპუტატის მანდატს მეუღლის ფულით უყიდის“. (22-28.07, გვ. 10)



გაზეთი „ალია“

ყოველკვირეული გაზეთი „ალია“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად, თუმცა საარჩევნო თემებს, პოლიტიკური პარტიების აქტივობებს და დაპირებებს, ნაკლებად აშუქებდა. გამოცემა ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქების ტონი, ძირითადად, უარყოფითი იყო, ხოლო სტატიები, ხშირ შემთხვევებში - დაუბალანსებელი. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, შემცირებული იყო სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში „ალიამ“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (39%) და მთავრობა (12%) გააშუქა, ხოლო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიდან - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (8%). ყველა სუბიექტის გაშუქების ტონი, დიდწილად, უარყოფითი იყო.

სტატიები დაუბალანსებელი იყო და მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა. ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ მძიმე ბრალდების წაყენებას როგორც მმართველი გუნდის, ასევე პოლიტიკური პარტიების მისამართით, თუმცა ხშირ შემთხვევებში, ბრალდებები ფაქტებით გამყარებული არ იყო და არც კრიტიკის ობიექტს ეძლეოდა საპასუხო კომენტარის გაკეთების საშუალება. მაგალითად, სტატიები: „უნდილა გუბერნატორი, ასხინკალა ვანო და ქართული ოცნების ქონში მცურავი ჩინოვნიკები (13-19.07, გვ. 11-12); „როდის და რატომ შეხვდა მამუკა მდინარაძე ზურაბ ადეიშვილს და იცოდნენ თუ არა ამის შესახებ „ოცნებაში?“ (13-19.07. გვ. 9), ტენდერების მაფია, „ატკატები“, „ოცნებისთვის“ გადარიცხული თანხები და კახა კალაძის საექვო ინტერესები“ (31.08-4.09, გვ. 8)

„ალიაში“ ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სოციალური ქსელის სტატუსები წრმოადგენს. მათ გაზეთში საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ. ქვეყნდება როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი, ასევე რიგითი ადამიანების მოსაზრებები სხვადასხვა, მათ შორის პოლიტიკურ თემებზეც. მათში განსხვავებული პოზიციებია გამოთქმული და ხშირად კონკრეტული პოლიტიკოსის მისამართით ძალიან მწვავე, კრიტიკული და ხანდახან შეურაცხმყოფელი განცხადებებიც კეთდება. კრიტიკის ობიექტს კი პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ აქვს.

ყურადღებას იქცევდა გაზეთის ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდები, სადაც ჩართული იყო პოლიტიკოსთა ფოტოები შეკითხვა-ლექსებით, რომლებიც, უმეტესწილად, შეურაცხმყოფელ გამოთქმებს შეიცავდა.

გამოცემაში ხშირია საექვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები. ჟურნალისტები არ ასახელებენ წყაროს და ინფორმაციებს მეტი დამაჯერებლობისთვის ურთავენ ფრაზებს: „ექსკლუზიური ამბები მიაწოდეს „ალიას“, „კულუარული ინფორმაციით“, „გავრცელებული ინფორმაციით“, „წყაროს ცნობით“.

„ალიაში“ წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად იკლო სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებმა. ეს შეეხება არა მარტო სტატიებს, არამედ გაზეთში დაბეჭდილ ფოტოებსაც, რომლებიც, ძირითადად, ნეიტრალურია და მასზე გამოსახულ პოლიტიკოსებს უარყოფითად არ ჩარმოაჩენს.

გაზეთში დაფიქსირდა გენდერულად სენსიტიური გაშუქების შემთხვევა, როცა „ქალი“ შეურაცხყოფისათვის გამოიყენება. მაგალითად, ფრაზა ყოფილი დეპუტატის, ხათუნა ხოფერიას პოსტიდან: “აქ ჭაობია და არაფერი არ აშენდება თქვა ქალბატონმა ლევან ბერძენიშვილმა“ (6-12.07, გვ. 7);


ირაკლი კობახიძის განცხადების („არ იქნება ურიგო, თუ საპარლამენტო სიაში პარტიებს ყოველი მეოთხე ქალი ეყოლება“) შეფასება ჟურნალისტის მიერ: „ოცნების საპარლამენტო სიაში ბევრი ქალი იქნება. მმართველი პარტიის თავმჯდომარე მიხვდა, რომ მის მიერ პარლამენტში ქუჩიდან შეყრილმა კაცებმა არ გაუმართლეს და ბევრმა უღალატა. ამიტომ, ის ახლა ფსონის გაკეთებას ქალებზე აპირებს და სიაში მოხვედრილთა დიდი პროცენტი ივანიშვილის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის სადაქლოდან იქნება“ (6-12.07, გვ. 3).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ალია"

15 ივნისი - 31 ოქტომბერი, 2020

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი



გაზეთი „გურია News“

ყოველკვირეული გაზეთი „გურია ნიუსი“, ძირითადად, რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. გამოცემა ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ ნეიტრალური განწყობით გამოირჩეოდა, დაბალანსებული იყო და სხვადასხვა მხარეთა პოზიციებს წარმოაჩენდა.

საანგარიშო პერიოდში გამოცემამ ყველაზე მეტად ადგილობრივი მთავრობა (34%), „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (28%) და მთავრობა (16%) გააშუქა.

ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია უფრო ნეიტრალურად გაშუქდა, ვიდრე კრიტიკულად. სუბიექტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ძირითადად, რესპონდენტთა განცხადებებში და საკრებულოს სხდომების ჩანაწერებში ვლინდებოდა.


სტატიებში ბალანსი, უმეტესწილად, დაცული იყო. მოვლენების გაშუქებისას წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების და ოპოზიციის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის კომენტარები. მაგალითად, სტატიაში „რა მოტივით არ დაუჭირა მხარი ოპოზიციამ ბიუჯეტის ცვლილებებს“ (3-9.08, გვ.4) მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა, საკითხთან დაკავშირებით, სამ განსხვავებულ მოსაზრებას გასცნობოდა.

„გურია ნიუსი“ აქტიურად აშუქებდა რეგიონის რაიონულ ცენტრებსა თუ სოფლებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, სხვადასხვა სოციალურ საკითხებს და ამ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების კომენტარებს აცნობდა მკითხველს. ამასთან, ჟურნალისტები მოვლენების ერთჯერადი გაშუქებით არ შემოიფარგლებოდნენ და დასმულ პრობლემებს შემდგომ გამოცემებშიც უბრუნდებოდნენ.

გამოცემაში ზოგჯერ გვხვდებოდა ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთა კომენტარები, რომელთა ავტორების პარტიული კუთვნილების დადგენა რთული იყო, რადგან მკაფიოდ არ იყო მითითებული რესპონდენტის ვინაობა. ზოგ შემთხვევაში, ერთ სტატიაშიც კი რამდენჯერმე ნახსენები ერთი და იგივე პიროვნება სხვადასხვანაირად იყო წარდგენილი. მაგალითად: 17-23 აგვისტოს სტატიაში „ამ უაზრო აქციებით დავიღალეთ!“ ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მოხსენებული იყო ხან გამგებლად, ხან სოფლის მცხოვრებად. ასევე პრობლემას წარმოადგენდა ფოტოები წარწერების გარეშე, ან მასზე აღბეჭდილი ბევრი პირით და ერთი წარწერით. გარდა იმისა, რომ მსგავსი შემთხვევების გამო მკითხველს ინფორმაცია სრულყოფილად არ მიეწოდება, ვერ ხერხდებოდა ამა თუ იმ პირის მიკუთვნება მონიტორინგის კონკრეტული სუბიექტისთვის, ამიტომ ის კვლევის მიღმა რჩებოდა.

გაზეთში გვხვდებოდა ფასიანი სტატიები. მაგალითად, 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა პარლამენტის წევრის, ნინო წილოსანის წერილი საარჩევნო სისტემაში გენდერული კვოტირების მნიშვნელობის შესახებ.


„გურია ნიუსი“ მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. გამოცემა ერიდებოდა დაუსაბუთებელ მსჯელობას და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნებას.



გენდერულად სენსიტიური გაშუქება

პროექტის ფარგლებში დაკვირვების ქვეშ მყოფ ბეჭდურ გამოცემებში საარჩევნო თემების მონიტორინგისას დაკვირვება გენდერული ნიშნით სენსიტიურ გაშუქებაზეც ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა ისეთ გაშუქებას და ტერმინების გამოყენებას, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს აძლიერებს.

ქალი პოლიტიკოსების და ქალი კანდიდატების გაშუქებას გაზეთებში მცირე ადგილი ეთმობოდა.



გენდერული თანასწორობის გაშუქების მონიტორინგის მიზანი ისეთი შემთხვევების გამოვლენა იყო, რომლებიც პირდაპირი ან ფარული ფორმებით გენდერულ სტერეოტიპებს ამყარებენ.

ბეჭდურ მედიაში გენდერული სტერეოტიპების გამყარებას ხელს უწყობდნენ როგორც რესპონდენტები, ასევე ჟურნალისტები. განსაკუთრებით ხშირი იყო გაშუქების ისეთი შემთხვევები, როდესაც „ქალი“ და „ქალური ქცევა“ შეურაცხყოფისათვის გამოიყენებოდა, აგრეთვე განცხადებები, როდესაც პოლიტიკოსი ქალის გარეგნობის ხაზგასმით მისი საქმიანობის დაკნინებას ცდილობდნენ; ფარული ფორმები, რომელიც ამყარებს სტერეოტიპს, რომ ქალს დაცვა სჭირდება, რომ პოლიტიკოსი ქალის უკან ყოველთვის ძლიერი მამაკაცი (ქმარი, მამა) დგას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების შესახებ კანონის მიღება გენდერული ნიშნით სენსიტიური განცხადების მიზეზი იყო, ძირითადად, პოლიტიკოსი კაცების მხრიდან. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი განცხადებებიც კი კეთდებოდა.

დასკვნა

გაზეთების უმრავლესობა ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა, რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ მკვეთრად დადებითი დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა.

გაზეთების უმრავლესობაში გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები: შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია რესპონდენტთა განცხადებების გარდა, ჟურნალისტთა ტექსტებშიც ხშირად გამოიყენებოდა. თუმცა, წინა წლებთან შედარებით შემცირდა შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოების რაოდენობა (გამონაკლისს წარმოადგენს „ასავალ-დასავალი“).

გაზეთების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დაუბალანსებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება რჩება. გამოცემებში საექვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები ხშირად გვხვდებოდა. ჟურნალისტები არ ასახელებდნენ წყაროს და არც ფაქტობრივი მასალით ასაბუთებდნენ ხელისუფლების და ამა თუ იმ პოლიტიკოსის მისამართით წაყენებულ მძიმე ბრალდებებს. ამიტომ, ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტების მიერ გამოთქმული კრიტიკა და მწვავე კითხვები მიკერძოებული და სუბიექტური უფრო იყო, ვიდრე ფაქტებით გამყარებული.

გადამოწმების გარეშე შუქდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელთა ბრალდების შემცველი განცხადებებიც. ამასთან, კრიტიკის ობიექტს, ხშირ შემთხვევაში, საპასუხო კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა არ ეძლეოდა.

გაზეთების უმრავლესობა მკითხველს ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ მასალებს სთავაზობდა, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე განხსვავებული მოსაზრებების გაცნობის საშუალებას არ იძლეოდა.

